წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 1 აგვისტო 1915 წ. № 59

F 262 N 556

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში. და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილეს 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ რედაქცია სამწუხარო ამბავს აუწყებს თავის მკითხველებს: 27 ივლისს საღამოს 7 საათ. ქ. თბილისში

გარდაიცვალა მთისარწივი ვაჟა-ფშაველა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება კვირას 2 აგვისტოს, დიდუბეში.

ქართ. კულტურის მოყვარულთა საზოგადოება აუწყებს საქართველოს შვილთ, რომ ჩვენი სასიქადულო მგოსან

ვაჟა-ფშაველას

დაკრძალვა მოხდება 2 აგვისტოს, დიდუბის ეკლესიის გალავანში. წირვა და ანდერძის აგება გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო

წეს-რიგი, ვაჟა-ფშაველას ნეშთის დაკრძალვისა.

კვირას. 2 აგვისტოს, დილის 7 საათზე დაიწყება წირვა ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო წირვის შემდეგ, 11 საათზე, წესის აგება იქმნება. ამ დროს ეკლესიაში მოვლენ დეპუტატები. წესის აგების შემდეგ ცხედარს გამოასვენებენ ეკლესიიდან საზოგადო მოღვაწენი და დაასვენებენ სამგლოვიარო ეტლზე. პროცესია გაივლის გოლოვინის პროსპექტით, ვერის ხიდით, მიხეილის პროსპექტით და მივა დიდუბის ტაძრის გალავანში, საცა მგოსანს მიაბარებენ მიწას. სიტყვები წარმოთქმულ იქმნება დამკრძალავ კომიტეტის ნებართვით. სიტყვების თქმის მსურველნი წინდაწინვე უცხადებენ ამას დეპუტატთა საკრებულოში ხსენებულ კომიტეტს.

გამოსვენების დროს შემდეგი წესრიგი უნდა იყოს დაცული:

1) დროშები, ჯვრები და ხატები; 2) მგალობელთა გუნდი; 3) მოსწავლენი; 4) მგალობელთა გუნდი; 5) დეპუტატები; 6) მგალობელთა გუნდი; 7) ქართველ ერის სახელით გვირგვინი, რომელიც მიაქვთ ქართველ მგოსნებს; 8) სამღვდელოება; 9) სამგლოვიარო ეტლი ძუბოთი; 10) ეტლს მისდევენ განსვენებულ მგოსნის ოჯახობა, ნათესავები და მისი ყველა პატივისმცემელნი.

პანაშვიდი. 30 ივლისს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულ მგოსნის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა ისევ გორის ეპისკოპოზმა ანტონიმ, დუშეთის მღვდლის კონსტანტინე კავკასიძისა და ადგილობრივ სამღვდელოებათა თანამსახურებით. ხალხის ტევა არ იყო ეკლესიასა და გალავანში.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლებისა და დეპუტატების კრებულში, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით, ფეხზე დგომით პატივი სცა-რა დიდებულ პოეტის ხსოვნას, დაადგინა: 1) გადასცეს დამკრძალავ კომიტეტს 500 მანეთი, 2) გაიგზავნოს თავ. კ. მაყაშვილი დამკრძალავ კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად და 3) პოეტის დაკრძალვას დაესწროს მთელი შემადგენლობით.

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 30 ივლისს ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ მგოსნის ხსოვნას და შემდეგ დაადგინა: 1) 50 მან. გადასდვას მგოსნის დასაკრძალავად და 2) დაკრძალვას დაესწროს საბჭო მთელის შემადგელობით.

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭომ დაადგინა: 1) მგოსნის დამკრძალავ კომიტეტს გადასცეს 100 მანეთი; 2) გვირგვინის ყიდვის ნაცვლად, სალიტერატურო ფონდის გაძლიერებლად გადასდვას 50 მან.; 3) დამკრძალავ კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნოს საბჭოს თავმჯდომარე თავ. მ. დ. ჭავჭავაძე; 4) ძვირფას მგოსნის დაკრძალვას საბჭო დაესწროს მთელი შემადგენლობით.

ქართულ საქველმოქმედო საზოგად. გამგეობამ 30 ივლისს თავის კრებაზე დაადგინა: 1) დაესწროს გამგეობა მთელი შემადგენლობით პოეტის დაკრძალვას, 2) გაიგზავნოს გამგეობის წევრი მიხ. ლაღიძე დამკრძალავ კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად და 3) გადაიდვას 50 მანეთი განსვენებულის დასაკრძალავად.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ დაადგინა, 300 მანეთი გადასცეს დამკრძალავ კომიტეტს ძვირფას მგოსნის დასაკრძალავად და დაკრძალვას დაესწროს მთელი შემადგენლობით.

მგოსნის კუბოსთან. 30 ივლისს, ღამით, საყვარელ მგოსნის კუბოსთან მორიგედ იყვნენ ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენელნი; 31-ს, დღით, მორიგეობდნენ სტუდენტთა წრის წარმომადგენელნი.

ვაჟას დაკრძალვის შესახებ. გურიასამეგრელოს ეპისკოპოსმა, ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ, წერილობით სურვილი გამოსთქვა, მგოსნის დაკრძალვაში მონაწილეობას მივიღებო. დამკრძალავმა კომიტეტმა მადლობა შეუთვალა ყოვლად სამღვდელოს და სთხოვა, ჩამობრძანდითო.

გვირგვინი ვაჟას კუბოზე. ქალაქის გამგეობამ დაადგინა გვირგვინით შეამკოს ვაჟას კუბო.

ქართველ მოსწავლე ახალგაზდობას. ქართველ სტუდენტთა სიერ არჩეული კომისია უმორჩილესად სთხოვს ყველა ქართველ მოსწავლეთ მობრძანდნენ კვირას, 2 აგვისტოს, დილის 8 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რათა მონაწილეობა მიიღონ წეს-რიგის დაცვაში ვაჟას დაკრძალვის დღეს.

ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

აღარა გვყავს მგოსანთ მეფე,
არ ევლება მთის მწვერვალებს...
დღეს სიკვდილი დასწოლია,
მის დახუჭულ ფერ-მკრთალ თვალებს.
დღეს მე ვნახე მგოსნის ვარდი
მოწყენილი, ანატირი.
და მეც... და მეც გულამოსკვნით
ვაჟას სიკვდილს მოთქმით ვტირი...

ვაჟას მოწაფე.

ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

ნიავო სასტიკ ბრძოლის დროს
თუ დაუქროლებ თხრილებსა
ვაჟას სიკვდილიც უამბე
ომში გაგზავნილ შვილებსა.

დაე იმათაც იგლოვონ
ცხარე ცრემლების ფრქვევითა
დაკარგვა სულის ჩამდგმელის:
უკვდავი სიმღერებითა.

ქნარი.

სამგლოვიარო დეპეშები

ქუთაისი. სამშობლო მთების მომღერალის ვაჟა-ფშაველას სიკვდილმა ღრმად დაგვამწუხრა. სრულიად საქართველოსთან ერთად მუხლს ვიდრეკთ ჩვენის სამშობლოს უფლებათა მტკიცედ დამცველის ძვირფას ნეშთის წინაშე.

მუშების და ნოქრების დავალებით

გიორგი შავდია

ქუთაისი. ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უსაზღვროდ დამწუხრებულია საქართველოს ბრწყინვალე თაობის უკანასკნელ წარმომადგენელის გარდაცვალების გამო. დადგენილია ჩვენ წარმომადგენლებად გამოიგზავნონ კრინიკი და ლაღიძე.

ჯუთაისი. მით მეტად ვსტირით ვაჟას გარდაცვალებას დღეს როდესაც საქართველოს განახლების განთიადი. უკვე სდგება.—

მეველე.

მაჩხაანი. ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი დიდებული მგოსანი მთის არწივი ვაჟა. ვგლოვობთ აუნაზღაურებელს დანაკლისს. პანაშვიდი გადავიხადეთ.

ქიზიყელნი.

მოსკოვში მყოფი ქართველთა საზოგადოება მწუხარებით შეეხვდა ფშავ-ხევსურეთის შვილის საქართველოს მგოსნის ძვირფას ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ამბავს. იგი მთელ ქართველ ერთან ერთად იგლოვს ამ აუნაზღაურებელ სამშობლოს ძვარფას დანაკლისსა.

თავმჯდომარის ამხანაგი **ზანდუკელი.**

ომის დღიური

მიმოხილვა

რადგან უკანასკნელ დროს კოვნო-რიგის მიმართულებას მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული ხასიათი მიეცა, რუსის ჯარმა აქ ძალა მოიკრიფა, გაძლიერდა, გერმანელთა წინსვლა შეაჩერა და ზოგან უკანაც დააბრუნა. აქ რომ ვერსად გაარღვიეს ბრძოლის პირი და ვერ გავიდნენ დვინსკისა და ვილნოს შუა, გერმანელებმა განიზრახეს გზის გაკვლევა ციხე კოვნოსთან, რომელიც ხელს უშლის და აბორკებს მათს მოძრაობას. აგერ რამდენიმე დღეა რაც ამ ციხის გულისთვის მეტად ცხარე და მედგარი ბრძოლა სწარმოებს. გერმანელებმა უკუაგდეს ჩვეულებრივი კანონები ციხის აღებისა ხანგრძლივ მომზადებით, ალყის შემორტყმით და პირდაპირ ეკვეთნენ ციხის სიმაგრეებსა დასავლეთიდან და სამხრეთიდან, სადაც ხელთ იგდეს ორი სიმაგრე. სასტიკი ბრძოლა კოვნოს გარშემო ჯერ არ გათავებულა.

მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ნარევსა და ბუგის შუა, ვარშავის აღმოსავლეთით. რა და როგორ მოხდა აქ ბრძოლის პირის დამტვრევა და დახლაკვნა—შტაბის დეპეშებიდან არა სჩანს. ლომჟიდან ვარშავა ბელოსტოკის რკინის გზამდე ბრძოლის პირი აღმოსავლეთით იცქირება, ხოლო ამ გზის გაყოლებით — სამხრეთისკენ. შტაბის დეპეშა იუწყება, რომ 29 ივლისს რუსის ჯარს იერიშები მიჰქონდა გერმანელებზე ჩიჟოვ-მალკინის რკინის გზის ორივე მხარეს, რაიც იმას ამტკიცებს, რომ ამ ორ ქალაქის შუა გერმანელები გამოვიდენ ვარშავა-ბელოსტოკ-პეტროგრადის რკინის გზაზე. მალკინი მდებარეობს ამ გზაზე ვარშავიდან 80 ვერსზე, ჩიჟოვი — 20 ვერსზე მალკინიდან და ბელოსტოკის დასავლეთით 60 ვერსზე სად არის ამ ჟამად შუა ვისლიდან წამოსული რუსის ჯარი—არ ვიცით. ამ ჯარს ამ ჟამად დარჩა ერთი რკინის გზა—ვარშავა-სედლეც-კუზოვისა, რომელიც ბელოსტოკისა და ბრესტის შუა გადის. ვეპრჟისა და ბუგის შუა, პარჩევ-ვლოდავას მიმართულებით კვლავ გრძელდება სასტიკი ბრძოლები. სხვაგან შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 30 ივლისი. კავკ. ჯარის შტაბისაგან. 28 ივლისს ჩვენმა ჯარმა პასინის ხეობაში დაიჭირა მნიშვნელოვანი მაღლობი, დაატყვევა ბატალიონის უფროსი, 3 აფიცერი და 100 ჯარისკაცი. ეფრატის მიმართულეშით ოსმალების დევნა გრძელდება, დაუტყვევებიათ 200 ჯარისკაცი. დანარჩენ ბრძოლის პირზედ არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 30 ივლისი. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. რიგის რაიონში დილით 29 ივლისს გერმანელების ცდამ რომ რუსის მოწინავე ჯარები შეევიწროებინათ, მთლად უნაყოფოდ ჩაიარა. იაკობშტადის და დვინის მიმართულებით რუსის ჯარები 28 და 29 ივლისს მარჯვედ მიდიოდნენ წინ და გერმანელთ ავიწროებდნენ. ვილკომირის ჩრდილოეთით რუსებმა აიღეს კოვარსკი და ტოვიანი, თანაც ტყვეები წამოასხეს კოვნოსთან გერმანელებთ განუწყვეტელი იერიშები მიაქვთ ნემანიდან ესამდე, მაგრამ რუსები მარჯვედ იგერიებენ. გერმანელებმა მხოლოდ ზოგიერთ აღგილს მოიმაგრეს ფეხი, განსაკუთრებით სოფ. პოდლეკოსთან. მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. ნარევ-ბუგის ხაზზე გერმანელები დაუინებით წინ მოიწევენ და იერიშს იერიშზე აახლებენ, განსაკუთრებით ლომჟა, სნიადოვ-კოსევთან. სამხრეთით ჩიჟოვის რკინის გზის ორთავე მხარეს რუსის ჯარები 29 ივლისს დღისით კონტრ-იერიშებით წამოვიდნენ. ვეპრჟისა და ბუგის შუა 29 ივლისს გერმანელებმა მთელი რიგი სასტიკი იერიშებისა მიიტანეს პარჩევის მიმართულებით და ხოლმიდან ვლოდავასკენ მიმავალ ორივე გზატკეცილზე, მაგრამ მათი იერიშები მოგერებული იქმნა. გერმანელთ დიდი ზარალი მოუვიდათ, განსაკუთრებით ოსტროვის აღმოსავლეთით, სადაც თავიანთ ჯარისკაცთ აუარებელი გვამები დასტოვეს. ბუგზე ზოლოტოი ლიპაზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. დნესტრზე, მდ. სტრიპის რაიონში, გერმანელთა იერიშები შეკავებულ იქმნა.

28 ივლისს გერმანელთა დიდი ძალები ერთა და იმავე დროს გამოემართნენ რიგის ყურით და ალანდის შხერით და ზღვის კანდელს დაუწყეს სროლა. რუსებმა სროლითვე უპასუხეს. გერმანელები ზღვაში მიიმალნენ.

ქურნალ-გაზეთებიდან

მაკენზენის აზრი.

ინგლისურ პრესის ცნობით მაკენზენს უკანასკნელ ბრძოლების დროს საინტერესო განკარგულება მოუხდენია. ამ განკარგულებაში ნათქვამია, რომ გალიციის უკან დაბრუნება გერმანელების მიერ უმნიშვნელო პრელუდია იმ დრამისა, რომლის უკანასკნელ აქტს კიევის მიდამოებში ექნება ადგილი. ეს გან-

კარგულება შემდეგის სიტყვებით თავდება თუ რუსეთის მიერ 10 თვის განმავლობაში გამაგრებული ციხე-სიმაგრეები ჩვენ ერთ თვეს მოვსპეთ და დავიკავეთ, მაშინ უფრო ნაკლები დრო დაგვჭირდება რუსეთის ძველ სატახტო ქალაქის ასაღებად და მთელ სამხრეთ-დასავლეთ-რუსეთის დასაპყრობადო.

მინისტრთა საბჭო.

მინისტრთა საბჭო მთელის შემადგენლობით ცარსკოე სელოს გაემგზავრა.

კლემანსოს წერილი.

პარიზიდან იუწყებიან: კლემანსოს წერილი ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში მოთავსებული დიდი ყურადღებას იქცევს. ამ წერილში კლემანსო იმ აზრს გამოსთქვამს რომ დღევანდელ ომის მთელი სისასტიკის ატანა დღეს რუსეთმა იკისრა, რომ მოკავშირეთ დასვენება შესძლებოდა. ბოლოს კლემანსო ჰკითხულობს—დადგება თუ არა ის დრო როდესაც რუსეთს შესვენებას შევაძლებინებთო.

———

ერთ-ერთს მინისტრს უთქვამს „რან. უტ.“-ს კორესპონდენტისთვის: მთავრობა უეჭველად ეცდება, რომ სამხედრო მრეწველთა კომიტეტის ძირითადი დებულებანი განხორციელებული იქნეს. პირველ რიგზედ იქნება დაყენებული ებრაელების უფლებათა გათანასწორება და წარსულ დროის პოლიტიკურ დანაშაულობათა დავიწყება.

ბასერმანის კომპანია—ბეტმანჰოლვეგის წინააღმდეგ.

ნაციონალ-ლიბერალი დეპუტატი რეიხსტაგისა ერნტბასერმანი და პარტიის კომიტეტის წევრი შტრეზემანი დიდს აგიტაციას ეწევა გერმანეთის კანცლერის ბეტმან-ჰოლვეგის წინააღმდეგ. ესენი მოითხოვენ ბელგიის და საფრანგეთის სამრეწველო მიდამოების შემოერთებას. ბეტმან-ჰოლვეგს კი სწადია ზავის ჩამოგდება გერმანეთის ჯარის მიერ დაკავებულ ადგილების უკან დაბრუნებით. სამაგიეროდ იგი მოითხოვს კოლონიებით კომპენსაციას, ფულით კონტრიბუციას და ხელსაყრელ სავაჭრო ხელშეკრულებას.

„ფორვერტს“-ი ამბობს, რომ მოთხოვნილება ბასერმანის კომპანიისა, რომელიც უმეტეს ნაწილად რენის მსხვილ მრეწველებისაგან შესდგება, თვით ნაციონალ-ლიბერალებთა შორისაც კი პროტესტებს იწვევსო.

საერთოდ კი ხალხი სიხარულით ეგებება ყოველნაირ ზავის ამბავს, რადგან მოიღალა ომისაგანაო.

ბერლინელ „ტაგებლატ“-ში ცნობა: ჰააგის მშვიდობიანობის ბიუროს შეატყობინეს, რომ რავდენიმე ნეიტრალი სახელმწიფონი მზათ არიან მონაწილეობა მიიღონ მუდმივ საერთაშორისო კონფერენციაში. ამ კონფერენციის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს მეომარ სახელმწიფოებს ზავის ჩამოგდებაში.

გერმანეთის უნივერსიტეტის მობილიზაცია.

ბერლინის უნივერსიტეტმა დაავალა თავისს პროფესორებს გერკნერს, ზერინგს და იასტროვს ახალი კათედრების გახსნა „სამხედრო-ნაციონალურ ეკონომიისა“ და „სამხედრო-ფინანსების მეცნიერებისა“. სამხედრო ისტორიის ლექციების კითხვა დავალებული აქვს რუსეთის „მეგობარს“ შიმანს, რომელიც იკითხავს აგრეთვე „რუსეთში პოლიტიკურ-იდეურ მიმდინარეობის ისტორიას მე-40 წლებიდან დაწყებული ეხლანდელ ომის დაწყებამდე“.

გენ. ბისსინგის ახალი მოწოდება.

ვილჰელმის მოადგილე დიდის მწუხარების გრძნობით აღნიშნავს, რომ ბელგებს ისეთი აზრი აქვთ შედგენილი, თითქოს „პატრიოტული მოვალეობა მათგან გერმანეთის მთავრობის განკარგულებათა წინააღმდეგობას მოითხოვდეს“ გერმანეთის იმპერატორი მართალია მავალებს ადგილობრივ მართვა-გამგეობის, სარწმუნოების და ეროვნულ შეხედულებათა პატივისცემას, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთა პატიოსნურ დახმარებით სარგებლობმს, მაგრამ ჩემი მოვალეობა მიბრძანებს სასტიკ ზომების მიღებასაც მათ მიმართ, ვინც საზოგადოებრივ ცხოვრების მშვიდ განვითარების დამრღვევი იქნებაო, ამბობს ვილჰელმის მოადგილე.

ეს მოწოდება ფონ ბისსინგისა გამოიწვია მონსში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებმა, რომლის დროსაც გერმანეთის ჯარებმა 15 ბელგი დაჰხვრიტა, მათ შორის 7 ქალი.

კახეთის მემამულენი

კახეთში რომ დიდზე უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეა, ამას ჩვენი ბანის აყოლება აღარ უნდა. ამაში კახეთის ყველა ზერელე მნახველიც დაგვეთანხმება.

მაგრამ უთუოდ იმაშიაც დაგვეთანხმებიან, რომ ამ სიმდიდრის უმეტესი ნაწილი, როგორც ყველგან ჩვენში, ოდნავაც არ არის მკვიდრთა სასარგებლოდ გამოყენებული და ზოგ ალაგას ან უცხოელთა ხელშია გადასული, ან ისე ოხრად და მოუვლელად არის პატრონისაგან მიგდებული.

მაგრამ მუდამ ესე ხომ არ იქმნება და აი ცოტაოდენ გამოღვიძების მაგალითს უკვე ვხედავთ ამ კუთხეშიაც.

მაგალითისათვის გავიხსენებ ახტალის საქმეს და ალაზან-გაღმა მდებარე სავაჩნაძიანო ტყეს.

ახტალის შესახებ მკითხველს ეხსომება, რომ მთავრობამ ამას წინად სამეცნიერო კომისია გამოგზავნა, რომ საბოლოოდ გამოერკვია საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახტალის სამკურნალო ტალახისა და სხვათა შორის ახტალის მეპატრონეებს იქავე განუცხადა კომისიის მეთაურმა სენატორმა პეტერსონმა, რომ უკეთუ ახტალის ტალახი მართლა საყურადღებო გამოდგება, მეპატრონეებს ჩამოერთმევა ეს ადგილი, რათა რომელიმე სხვა ღირს დაწესებულებას გადაეცეს საუკეთესო მოსაწყობად და საექსპლოატაციოთო.

ამის გამო ახტალის მეპატრონეებმა ... თთ. ანდრონიკაშვილებმა, აბაშიძეებმა და შალიკაშვილის წარმომადგენელთ—კრება მოახდინეს და შემდეგი დადგენილება გამოიტანეს, რომ შეეცადნენ თვით იშოვნონ კაპიტალისტი და შეუდგნენ სამკურნალო ტალახის სათანადოთ მოწყობა-დამუშავებას. ხოლო თუ აქამდის ეს მათ მიერ არ იყო გაკეთებული, ეს თვით ხაზინის ბრალიაო, ამტკიცებდნენ მეპატრონენი, რადგან აქამდე ხაზინა გვედავებოდა ახტალის მამულს და რა კი ადგილი სადავო იყო ჩვენ უფლება არა გვქონდა ჩვენს ნებაზე მოგვეხმარაო. ეხლა კი ხაზინასთან დავა დასრულდა, ხაზინამ მხოლოდ 432-ტე ნაწილი გაიტანა და ჩვენც უკვე უფლება გვაქვს სამკურნალო ტალახი ჩვენის ნებით მოვიხმაროთო. მართალია ახალი კანონი 1914 წლის, აპრილის 24-სა კურორტების შესახებ მკაცრია და იმ მეპატრონეებს, რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის მამული აქვთ, ამ კანონის ძალით ჩამოერთმევათ, უკეთუ ამ მამულის გასამშვენიერებლად და მოსაწყობად არაფერი არ გაუკეთებიათ, მაგრამ თუ ჩვენ ეხლავე ვიზრუნებთ მის გასაკეთებლად, მაშინ პირიქით მთავრობა მოვალეა, არამც თუ ესეთი მამული ჩამოგვართვას, არამედ ხელიც კი შეგვიწყოსო.

გაითვალისწინეს ყველა ეს და ზემოთქმულ გადაწყვეტილებას დაადგნენ: იშოვნონ თანხა და თვითვე მოაწყონ ტალახის ექსპლოატაციის საქმე.

ჩვენ არ ვიცით რამდენათ გაუმართლდებათ იმედი ახტალის მეპატრონეებს, მაგრამ ჩვენ აქ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა სიმპტომატიურია. დიდი ხნის საღათას ძილის შემდეგ, ქართველ მემამულემ თვითვე უნდა თავის მამულს უპატრონოს.

მეორე ესეთი სანუგეშო მოვლენა არის ალაზან გაღმა მხრის მამულის საქმე.

ეს ადგილი სივრცით, როგორც ამბობენ, 25—30,000 დესეტინა ეკუთვნის. თ. ვაჩნაძეებს, აბხაზთა გვარეულობას და ანდრონიკაშვილის ერთს ოჯახს. ამაში 10,000-მდე სულ ტყიანია და დანარჩენი სახნავ-სათესი და სამოსახლო. ამ ჟამად გამართული აქვთ კიდეც მოსახლეობა რამდენიმე სოფელში იმერლობას და დიდ უნარსაც იჩენენ მამულის დამუშავება-პატრონობაში. ადგილი მეტად მდიდარია, როგორც ნიადაგის სინოყიერით, ისე მდინარე წყლებით, სხვადასხვა წყაროებით და ალაგ-ალაგ მადნეულობითაც. ტყე-კი უფრო მუხიანია, წაბლიანი და უმეტესად ხელ-შეუხლებელი.

მთელი ეს მამული აქობამდე სადავო იყო და გაუმიჯვნელი. ეხლა-ხან უკვე ყოველივე დავა მოისპო, მამულიც საბოლოოდ იმიჯვნება და აი მეპატრონეს ამ ჟამად აზრათა აქვთ ტყიანი ნაწილი მამულისა ისევ საერთოდ დასტოვონ, იყოლიონ არჩეული კაცები და მათის საშვალებით იპოვონ ისეთი კაპიტალისტი, რომელიც იჯარით აიღებს ტყეს საექსპლოატაციოთ.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თ-დნი ვაჩნაძენი, აბხაზნი და ანდრონიკაშვილები კარგა ასწონ-დასწონიან და ღირსეულად განახორციელებენ მათ კეთილ განზრახვას.

მართალია, ერთის შეხედვით დღევანდელი გასაოცარი ომის ხანა თითქო ხელს არ უწყობს ასეთ სამრეწველო ან სავაჭრო საქმის ხელის მოკიდებას, თითქო ეხლა კაპიტალის შოვნაც საძნელო უნდა იყოს, მაგრამ, ჩვენის აზრით, სწორედ ეხლა არის დრო, რომ ქართველობა ამ მხრივაც ამუშავდეს მომავლის საკეთლდღეოთ. საზოგადოდ ყველა ჩვენი მემამულენი და განსაკუთრებით ისინი, ვისაც საერთო და მნიშვნელოვანი მამული კიდევ შერჩენიათ, ეგრე ღირსეულად, იურიდიულ ერთგულებათ უნდა დარაზმდნენ. რომ თვითვე უპატრონონ თავიანთ მამულს და ეხლა მაინც შეიკავონ თავი მამულის დაქუცმაცებისა და წვრილ-წვრილად ყიდვისაგან, რადგან ერთი რომ შეერთებული მამული და კარგა გაძღოლილი, თქმა არ უნდა, ყოველთვის მეტს შემოსავალს იძლევა; მეორე—ომიანობის დასრულების შემდეგ, წინა გამოცდილება გვასწავლის, რომ უცხო კაპიტალი უთუოდ უხვად დაიძვრის ჩვენი ბუნებით მდიდარ სამშობლოსაკენ. ამიტომაც ჩვენ ყველანი მზად უნდა შევხდეთ იმ შემოსევას, რომელსაც, როგორც ვიცით, ორლესული პირი აქვს.

თუ ესე შეკავშირებულნი, მომზადებულნი დახვდებით მომავალს, მაშინ ველარ წაგვახდეს უცხო კაპიტალი, პირიქით ჩვენც ვისარგებლებთ ჩვენი ბუნების სიუხვით და მოვღონიერდებით, ხოლო თუ ცალ-ცალკე გავიწიეთ და დავქუცმაცდით, ვერც ვერას ვისარგებლებთ, მამულიც დაგვეღუპება და ჩვენი ტერიტორია, რომელზეაც ეგრე ვწუწუნებთ ყველანი, მართლაც რომ ნამდვილად სხვის ხელში გადავა.

ეს გარემოება ყველა ჩვენს მემამულეს და ამ შემთხვევაში კახელებსაც კარგა უნდა ახსოვდეთ, რომ მომავლისათვის გაუსწორებელი დანაშაული არ ჩაიდინონ.

შ. დ—იანი.

წერილი პარიზიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

წერილი ბ

ამ დღეებში პარიზის პოლიციის უცნაურმა განკარგულებამ ფეხზე დააყენა რუსეთის ქვეშევრდომ ემიგრანტების მთელი კოლონია. ფრანგთა მოწინავე საზოგადოება და პრესა დროზე რომ არ ჩარეულიყო საქმეში, მეტად სავალალო შედეგი იქნებოდა მოსალოდნელი როგორც იმ ქვეყნისათვის, საცა ეს განკარგულება უნდა აღსრულებულიყო, ისე იმათთვისაც, ვინც ნიშანში ჰქონდა ამოღებული ამ განკარგულებას.

პოლიცია აფიშების საშუალებით (თან კერძო წერილებითაც მოუწოდებდა) აცხადებდა: რუსეთის ქვეშევრდომნი თავთავიანთ საპოლიციო უბანში უნდა გამოცხადდნენ სამხედრო ბეგრის მოხდის შესახებ საჭირო საბუთების წარმოსადგენათო. და თუ აღმოჩნდებოდა, რომ ესა თუ ის პირი სამხედრო ბეგრის მოხდის ჰასაკისა იქნებოდა და რუსეთში ჯარში უნდა გაეწვიათ, პოლიცია წინადადებას აძლევდა: ან რუსეთში უნდა წახვიდეთ ბეგრის მოსახდელად, ან და ჩვენს ჯარში ჩაეწეროთ მოხალისედაო; და თუ არც ერთს ინებებთ და აღარც მეორეს, იძულებული იქნებით პარიზი და მისი მიდამო დასტოვოთ, თორემ საკონცენტრაციო ბანაკში დაგამწყვდევთ ავსტრო-გერმანელებთან ერთადაო.

სანამ ამ განკარგულებას შევეხებოდეთ, საჭიროდა ვსთვლით მოკლედ მოვახსენოთ მკითხველს საფრანგეთში მყოფ რუსის ქვეშევრდომთა მიერ ეხლანდელ ომში მიღებულ მონაწილეობის ამბავი.

ომი ატყდა თუ არა, რუსეთის საელჩომ რუსის ქვეშევრდომთა საყურადღებოდ გამოაცხადა, ვინც ჯარში ხართ გასაყვანი, შეგიძლიათ ან რუსეთში წახვიდეთ, ან და საფრანგეოის ჯარში ჩაეწეროთო. მარიამობისთვეში დიდძალი ხალხი დაბრუნდა რუსეთში. მაგრამ უმეტესი წილი აქ დარჩა, განსაკუთრებით იმათგანი, რომელნიც საპოლიტიკო მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის რუსეთის მართლმსაჯულებას გამოექცნენ და საფრანგეთში იპოვეს თავშესაფარი. ერთი ნაწილი გადმოხვეწილთა, საფრანგეთისა და მის თავისუფლების სიყვარულით აღფრთოვანებული, მოხალისეებად ჩაეწერა. ამათი რიცხვი 6,000-მდე ადიოდა. მთავრობამ ყველანი ეგრედ წოდებულ „უცხოეთის ლეგიონში“ ჩარიცხა. ამათ რიცხვში, სხვათა შორის, ოთხი ქართველიც მოხვდა: ბუჭუტა (ალექსანდრე) აბაშიძე (მოკლულ იქმნა ბრძოლის ველზე), ტარსაიძე (რამდენჯერმე მძიმედ დაჭრილი და ისევ ბრძოლის ველზე დაბრუნებული), მჭედლიშვილი და მღებრიშვილი (ესეც მოჰკლეს).

მკითხველს შეიძლება გაგონილი არა ჰქონდეს, რა არის „უცხოეთის ლეგიონი“. ასეთი ლეგიონი ფრანგების მიერ არის დაარსებული და მისი სამოქმედო სარბიელი აფრიკაშია, ადგილობრივ მკვიდრთა დასამოჩილებლად. ამ ჯარში იღებენ ყველა უცხოელს, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზით თავის ქვეყანაში არ ედგომება, იღებენ საზოგადოების ყველა ცხრილ ქვეშ ანაბერტყს, თავიდან აწყვეტილს, კაცის მკვლელს, ქურდს, ავაზაკს. საკმარისია იყვეთ 17 წლისა და ჯანმრთელი. არავინ გკითხავსთ, ვინა ხართ, საიდან მოდიხართ, რა დანაშაულისათვის გამოექეცით სამშობლოს. რაკი ლეგიონასათვის გამოსდექით, ამხანაგებთან ერთად გაუდგებით აფრიკის გზას, აფრიკაში (მაროკოში) უფროსებადა გვყავსთ თქვენსებ თავზე ხელაღებულნი, ადამიანური გრძნობა გულიდან რომ აქვთ ამოგლეჯილი, ადამიანის სიცოცხლე ჩირად რომ მიაჩნიათ. თქვენც ამ ახალ ჯარში თქვენის ქცევით რაც უფრო დაუახლოვდებით მხეცს, რაც უფრო დაჰკარგავთ ხატებას და მსგავსებას ღვთისას (თუ კი ნატამალიც არის შეგრჩენიათ ამ ხატებისა და მზგავსებისა), იმდენად უფრო გაფასებენ, იმდენად უფრო მეტი გასავალი გაქვთ.

ომი რომ დაიწყო, ეს ლეგიონიც მყისვე დაიბარეს აფრიკიდან და საცა იერიშის მიტანა იქნებოდა საჭირო, პირველად ამ ლეგიონებს მიუსევდენ მტერს. დიდძალიც გაწყდა, განსაკუთრებით მდ. მარნაზე ბრძოლის დროს, სასიკვდილოდ დაიჭრა ჩვენი თანამემამულე ბუჭუტა აბაშიძე და იქიდან მოყვანილმა პარიზის საავადმყოფოში განუტევა სული.

აი, სწორედ ამ ლეგიონში ამოაკოფინეს თავი რუსის ემიგრანტებს, რომელნიც მოხალისეებად ჩაეწერნენ. უმეტესი მათგანი თავის მიმართულებით წინააღმდეგი იყო ადამიანის სისხლის ღვრისა. მაგრამ იმ აზრმა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის დასაცავად უნდა დაეღვარათ სისხლი, ყველას დააჯიწყა თავისი პრინციპი. ყველას სწყუროდა თავი დაედო საფრანგეთისათვის, რომლის დედობრივ კალთას თავი შეაფარა ყველამ, ვინც კი იძულებული იყო პირველ სამშობლოდან ლტოლვილიყო. ყველას უნდოდა თავისუფალ საფრანგეთის თავისუფალ მოქალაქეთა გვერდით ბრძოლით გადაეხადა თავისი ვალი მოქალაქისა. სავალალოდ, გვერდით თავისუფალი მოქალაქენი კი არ ამოუყენეს, არამედ ლეგიონები. მხეცები, უფროსებად კი დაუნიშნეს ლეგიონებთაყე უნტერ-ოფიცრები, რომელნიც იდეალისათვის შეგნებულად მებრძოლთ ყოველ ნაბიჯზე შეურაცხჰყოფენ, ჭლახავდენ მათს წმიდა გრძნობას. არ ერიდებოდენ რუს-ემიგრანტებისათვის „sales youpins“ (ბინძური ურია ან რუსული ჟიდი) და „mangeurs de gamelle“ ეწოდებინათ (ვითომდა საჭმელი პური არ გექვავათ და სასალდათო კერძის სალაფავად ხართ აქ მოსულიო). საფრანგეთის მოწინავე პრესა სირცხვილით ვეღარც კი იგონებს ხოლმე ამ ამბავს. ეს ზნეობრივი დამცირება არ აკმარეს რუს-მოხალისეთ. 6000 კაცი ისე გაიწყვიტა, რომ სამასიოდე ძლივს ღა გადარჩა ცოცხალი.

რუსეთის საელჩომ პარიზში მეორეთ გაზაფხულზე გამოუცხადა რუსეთის ქვეშევრდომთ, ვალდებულნი ხართ 15 (2) მარტამდე ან რუსეთში წახვიდეთ თქვენის ხარჯით სამხედრო ბეგრის მოსახდელად, ან აქ საფრანგეთის ჯარში ჩაეწეროთ მოხალისეებადაო. ემიგრანტები, რა თქმა უნდა, რუსეთში არ დაბრუნებულან, რადგან იცოდენ, რომ რუსეთში ჩასვლისთანავე ჯერ თავიანთი სასჯელი უნდა მოეხადნათ, როგორც ეს დაემართა აქედან შარშან მარიამობისთვეშივე წასულ ცნობილ რევოლიუციონერს ბურცევს. ამ უკანასკნელს იმედი ჰქონია, მართალია, სასჯელი მომელის ჩემის წარსულ საპოლიტიკო მოღვაწეობისათვის, მაგრამ საკმაო იქნება განვაცხადო, ომში მინდა წასვლა და მამულის დასაცავად ბრძოლა, რომ არ გამასამართლონო. და ყველამ იცოდა, რაც მოუვიდა: გაასამართლეს და [illegible] სასახლეს. ემიგრანტები [illegible] ეწერნენ მოხალისეებად, რადგან მარიამობისთვეში მოხალისეებად ჩაწერილთა ბედი კარგად იცოდენ.

და აჰა, ივნისის გასულს აქაურმა პოლიციამ მოინდომა ძალა ეხმარა რუსეთიდან გარდმოხვეწილებზე და ამნაირად დაერღვია კანონი, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკაში არსებობს. ეს კანონი იცავს საპოლიტიკო საქმისათვის ყველა ქვეყნიდან გადმოხვეწილს და სახელად ჰქვიან droit d'asile (თავშეფარების უფლება). ამ კანონის გაუქმება მხოლოდ და მხოლოდ დეპუტატთა პალატას შეუძლიან, პალატას-ღა აქვს უფლება გამოსცეს უკვე არსებულ კანონის სამაგიერო კანონი.

შემოხიზნულ რუსების განდევნა საფრანგეთიდან დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის საუკუნო სირცხვილი და თავის მოჭრა იქნებოდა, ამით წაუშლელი ჩირქი მოეცხობოდა მისს თავისუფლებას. ან რა თვალით უნდა შეეხედნა სხვა განათლებულ ქვეყნებისათვის, ისიც ამ კრიტიკულ დროს, როცა სხვათა სიმპატია და გულის მოგება ასე სჭირია საფრანგეთს...

მთელი რუსის კოლონია დაფაცურდა, რომ თავიდან აეცდინა განსაცდელი. განსაკუთრებით თავზე იდო. ეს საქმე ფრანგულმა მოწინავე პრესამ. „ადამიანის უფლებათა ლიგამ“ და სამმა სოციალისტმა: დეპუტატმა მუტემ, ერნესტ ლაფონმა და ჟან ლონგემ. მათ სოციალისტების საპარლამენტო ჯგუფის სახელით ინახულეს საშინაო საქმეთა მინისტრი მთელის სოციალისტურ პარტიისა და მთელის რესპუბლიკანურ საფრანგეთის განცვიფრება გამოუცხადეს იმ ამბისა გამო, რომ საფრანგეთს თავის მიწა-წყლიდან უნდა განედევნა რუსეთიდან ლტოლვილნი. მინისტრიც დაეთანხმა სოციალისტ-დეპუტატებს, რომ ასეთი მოქმედება მართლა რომ შერცხვენა იქნებოდა საფრანგეთისთვისაო. ჩემი მოწერილობა პოლიციას ამ საქმის შესახებ კარგად ვერ გაუგია, ჩვენ მხოლოდ **მამობრივის დარიგების** მიცემა გვწადდა იმ ემიგრანტებისა, ვისაც დავიწყებული ჰქონდა თავისი შვილობა მამულის წინაშეო. კარგი მამობრივი დარიგებაა, თქვენმა მზემ!

საქმე იმით დასრულდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომ გადმოხვეწილთ აღარც საფრანგეთიდან გააძევებენ და აღარც იძულებულ ჰყოფენ საფრანგეთის ჯარში ჩაეწერნენ. მაგრამ თუ კი ვინმე მათგანი მოისურვებს აქაურ ჯარში ჩაწერას, პირდაპირ ფრანგის ჯარში (და არა უცხოეთის ლეგიონში) მიიღებენ ისე, როგორც ყველა სხვა ფრანგსაო. თანაც დაჰპირდენ, ვინც ჩაეწერება ჯარში, მის შემდეგ დარჩენილ ცოლშვილისათვის საფრანგეთის მთავრობა იმნაირადვე იზრუნებს, როგორც ყველა ფრანგის ჯარისკაცის უპატრონოდ დარჩენილ ცოლშვილასათვისო.

თ. სახოკია.

პარიზი, 7 მკათათვე (24 თიბათვე).

პრესა

სახელმწიფო სათათბიროს წევრი ეპისკოპოსი ნიკონი „ბირ. ვედ.“-ში სწერს მენშიკოვისებურ მოღვაწეთა შესახებ:

„და აი—აღსრულდა: საზღვარ გარეთის უკრაინაში სახელოვან რუს გმირებს—არწივებს მოჰყვნენ რუსეთის ყვავები და დაიწყეს ყოველივე იქაურობის ყვავურად მოწყობა. აღკრძალეს ათასი რამ, დაჰკეტეს უკრაინული დაწესებულებანი. როგორც წვიმის დროს სოკოები, ისე გამრავლდა უცბად რუსული სკოლები, მართლმადიდებელი მღვდელნი, სამრევლონი... დანიშნეს ეპარქიები, ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები. არა, ყვავებო! ყოველი ხალხი გაფრთხილებით მოპყრობას მოითხოვს; ერი—ეს გრამოფონის ფირფიტა კი არ არის, რომელზედაც შეგიძლიან ისეთი ჰანგების ამოჭრა, როგორც მოგვესურებათ. ყოველივე ეროვნული გრძნობას სიფაქიზით მოპყრობა უნდა, იგი არ უნდა იქნას შელახული. ეს—წმინდა ჭეშმარიტებაა, და სამწუხაროა, რომ ჩვენი რუსი „ნაციონალისტები“ ივიწყებენ ამ ჭეშმარიტებას და, თვითონ თავის ეროვნების მომხრენი, სრესავენ სხვა ეროვნებას. მ. მენშიკოვი ცრემლებს აფრქვევს, გერმანეთის კულტურა მავნებელია რუსეთის ხალხისათვისო, თვითონ კი სჩაგრავს ჩვენს უმცროს დას—უკრაინას. უკრაინა, როგორც საზღვარ იქითი, ისე რუსეთი-

სა, ჰსაჭიროებს „თავის“ სკოლას, თავის“ საკულტუროელ დაწესებულებებს, და ჩვენ მას უნდა ვუშველოთ მის სულიერ კულტურის ზრდაში. მაშინ ზღაპრული საშინელი სული „მაზეპელებისაც“ გაჰქრება...

„ნაციონალისტებო“, ხალხს სიბნელეში ნუ იჭერთ. უკრაინის ხალხი გამოიღვიძებს და გვკითხავს: ეს „რა მიყავი, ჩემო უფროსო ძმაო? სად არიან ჩემი შვილები, სად არის ჩემი თავისუფლება, სად არის სიმართლე, სად არის დედა-ჩემი—უკრაინა?

ჩვენ რაღას უპასუხებთ? ყვავებმა აჰკენკეს ყველაფერი. რუსეთის ერს დაეწვება თავზედ მძიმე ცოდვა (ცოდვა შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ კერძო კაცს, არამედ მთელ ერსაც), თუ იგი არ მისცემს უკრაინას მის არსებითს მოთხოვნილებებს, და უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ სკოლას. უფროსი ძმა მაშინ წაართმევს თავის უმცროს ძმას თავისებურ განვითარების საშუალებას და იგი ველარ შესძლებს მას გვერდზედ მისდიოს. ხალხის სულის შეხუთვა არ შეიძლება; უკრაინელთ უნდა მივცეთ საშუალება ცხოვრებისა, სუნთქვისა და განვითარებისა... ამას მოითხოვს მოვალეობა, პატიოსნება, სამართლიანობა, გონიერება და სინიდისიც...

თქვენ კი,—რუსეთის ყვავებო; მომწყურებნო ავსტრიის ტ(რუსეთის)უკრაინისა,—„როგორც გინდა დასხდეთ, მუსიკოსებად მაინც არა ვარგიხართ!.. ნუ მისდევთ არწივთ და ნუ უშლით მათ; ისინი—წარმოადგენენ რუსეთის დიდებას, ხოლო თქვენ—ყვავებს და ჭკუამოკლე „მოღვაწეებს“, და ძალიან უხეირო „მაცხოვარნი“ ხართ სამშობლოსი.

* * *

„ზაკ. რეჩ-“ში კ. მკურნალი სწერს:

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის კარებზე გამოკრულია მშობელთათვის გულის გამხეთქავი ასეთი განცხადება: „ვისაც უნცროს მოსამზადებელ კლასში ჰსურს შემოსვლა, მას ეთხოვება რუსულად სწრაფი წაკითხვა, წაკითხულის ზეპირად გადმოცემა სწორი რუსულით და ამისდაშესაფერი კარნახით წერა!

როგორც ხედავთ, რომ უნცროსს მოსამზადებელ კლასის შაგირდს სთხოვენ სწორედ იმას, რაც მოეთხოვება გიმნაზიის კურსის დამასრულებელს, ე. ი. 10 წლის შემდეგ. ასეთი მოთხოვნა უდრის ჩვენ შვილთათვის გიმნაზიის კარების დაკეტვას. სად შეიძლება ბავშვის ასეთი მომზადება? ზემოხსენებულ განცხადების ასეთი დამატებაც აქვს: „კონკურსის გამო, გამოსაცდელ შეგირდის ცოდნა მეტად მტკიცე უნდა იყოს“. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვის წაყვანა გამოსაცდელად ტყუილი შრომა იქნება.

საიდან არ მოუვლიან ხოლმე პოლიტიკანი მოხელენი კანონსა და სამართალს! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: კანონი იმისთვის იწერება, რომ მას გარს შემოუარო.

* * *

„კოლოკოლი“ აღნიშნავს, თუ რა წინაალმდეგობას უწევდა უწმიდესი სინოდის ყოფილი ობერ-პროკურორი საბლერი და ამბობს:

„საქართველოს ეგზარხოსის მოთხოვნილებანი, რომელთაც გრაფი ვორონცოვი-დაშკოვის დასტური თან ახლდა რომლებიც მცხოვრებთა საჭიროებას უპასუხებდა, ყოველთვის უყურადღებოდ იყო დატოვებული ვ. კ. საბლერის მიერ, მიუხედავად მეფის მოადგილის გამოსარჩლებისა და მცხოვრებთა სრული თანაგრძნობისაო. სად იყო მმართველი იერარქია, როდესაც ობერ-პროკურორის პირადი ნება-სურვილი გზას უღობავდა ეკლესიის ისეთ მაღალ იერარქს, როგორიცაა საქართველოს ეგზარხი, როდესაც უკუღმართ განმარტებას აძლევდენ ისეთ შუამდგომლობას, რომელიც დამყარებული იყო მეფის მოადგილის მაღალ ხელმწიფებაზე და რომელიც ხალხის ზრახვასა და გულისთქმას უპასუხებდა. რატომ არ მიმართა და არ შესჩივლა საქართველოს ეგზარხმა სინოდის წევრებს, რატომ იერარქები არ მიიზიდა თვის მხარეზე ობერ-პროკურორის წინააღმდეგ ბრძოლაშიო?“

ეს საკითხი ყველას თვალწინ გვიტრიალებს, მაგრამ „კოლოკოლიდან“ ამ სიტყვების მოსმენა განსაკუთრებით პიკანტურიაო, შენიშნავს გაზეთი „რეჩი“.

ახალი ამბავი

✦ ხვალ, საღამოს 9 საათზე „ახალი კლუბის“ საზაფხულო შენობაში აკაკი ფაღავა წაიკითხავს ლექციას „საქართველოს კულტურა XII საუკუნეში“ (თამარ მეფე და რუსთაველი—გამომსახველნი ამ კულტურისა).

✦ **კომისიის გამგზავრება.** გუშინ, 31 ივლისს, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თავჯდომარე თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ვ. ი. რცხილაძე, ს. ყაზახაშვილი და პ. მელია გაემგზავრნენ სოფ. ავლევს (ზემო ქართლი), საცა თავ. კ. ამირეჯიბის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მოსწავლეთა გამოცდაში მონაწილეობა უნდა მიიღონ. შემდეგ ეს კომისია დაათვალიერებს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საცდელ-საჩვენებელ მინდორს სოფ. პატარა თამარაშენში.

✦ **დაპატიმრება.** თბილისში თავისსავე ბინაზე დაპატიმრებულ იქნა სილიბისტრო ჯიბლაძე.

✦ რედაქციამ მიიღო დეკანოზ კ. კეკელიძეს მიერ რუსულად შედგენილი წიგნი: „ცხოვრება პეტრე ახილისა, მოწამისა კაპეტოლელთა“.

✦ **ხოლერა.** 30 და 31 ივლისს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 4 და ხოლერის ნიშნებით 3 კაცი. ლაზარეთში ხოლერით გარდაიცვალა 1 (იონა თოფურია), ლაზარეთიდან გამოეწერა 2 და 31 ივლისს ლაზარეთში იყო ხოლერიანი 31 კაცი.

✦ **გადამდები სენი.** 31 ივლისს ქალაქის თავშესაფარში იწვენ: ქუნთრუშიანი 21, ხუნაგიანი 20, ყვავილიანი 2, საოფლით 10 და მუცელათი 2 კაცი.

✦ **ომში დაჭრილნი: ჯავახიშვილი** სპირიდონ საბას ძე (პრაპ.), **ნაცვლიშვილი** ნიკოლოზ გიორგის ძე (პოდპოლ.), **მელიქიშვილი** ევგენი კონსტანტინეს ძე (პრაპ.).

✦ **გამოქცეულთა დახმარება** სომხების ეპისკოპოზმა მესროპმა მეფის მოადგილეს თხოვნა მიართვა იმის შესახებ, რომ კავკასიაში მცხოვრები საკმაო დახმარებას ვერ აღმოუჩენენ ოსმალეთიდან გამოქცეულ სომხებს და მთავრობამ გაიღოს ხარჯი მათ შესანახადო. მეფის მოადგილემ მიიღო თხოვნა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა იგი განსახილველად.

✦ **ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიება.** კავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარ ინსპექტორმა ბ-ნმა კოპაძემ, წინადადება მისცა კავკასიის ქალაქთა კავშირის თავმჯდომარეს, რომ რადგან ყარსის გარშემო ხოლერა გაჩნდა, ამიტომ ალექსანდროპოლის ლაზარეთში განყოფილება მოაწყვეთ ხოლერიანებისთვისო.

✦ **სალიტერატურო საღამოს გადადება.** კვირას, 2 აგვისტოს, საბურთალოს აუდიტორიაში სალიტერატურო საღამო უნდა გამართულიყო, მაგრამ ვაჟაფშაველას გარდაცვალების გამო იგი სხვა დროისათვის გადაიდვა.

✦ **უსასყიდლო საჩაიე.** თბილისში ხოლერის გაჩენის გამო, ქალაქის გამგეობამ უსასყიდლო საჩაიე გახსნა დესიმონოვის ქუჩაზე.

✦ **სასანიტარო მატარებლები.** 30 ივლისს 3 სასანიტარო მატარებელი მოვიდა თბილისში, რომელთაც დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცები მოიყვანეს.

✦ **კიდევ ნიაღვარი.** სამტრედიიდან გვატყობინებენ: განრისხდა ჩვენზედ განგება. კიდევ ნიაღვრები და კიდევ გაოხრება მშრომელ გლეხის ნაჭირნახულევისა. ამ სამის დღის წინად რიონმა და ცხენის წყალმა გადმოხეთქა ნაპირები. მდინარის ნაპირად მდებარე სოფლებსა და სახნავ-სათესში კაცის სიმაღლემდე ნიაღვარი მიდიოდა. ისედაც განადგურებული გლეხი უმწეო მდგომარეობაშია. ნეტა ვინ იზრუნოს აუარებელ უსაზღვროდ დაზარალებულ ხალხისთვის.

✦ **სურსათი.** 30 ივლისს თბილისში მოიტანეს: ფქვილი 41 ვაგ., სიმინდი 3 ვაგ., ქერი 7 ვაგ., შაქარი 3½ ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., მარილი 1 ვ., მაკარონი 2 ვაგ., ბაკლაჟანი 1 ვაგ., საზამთრო 2 ვაგ., შეშა 28 ვაგ., ქვის ნახშირი 3 ვაგ., ნავთი 5 ვაგ., სოდა 1 ვაგ. ბრინჯი 445 ფუთი, კვერცხი 125 ფუთი, ხილი 513 ფუთი.

შეცდომის გასწორება

„საქართველოს“ № 58-ში, 1-ლ გვერდზე, საცა მოყვანილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს დადგენილება, დაბეჭდილია: „საბჭომ დაადგინა 30 ივლისს“, უნდა იყოს 28 ივლისს. აქვე დაბეჭდილია: ნაცვლად გვირგვინისა 50 მან., უნდა იყოს 25 მან.

„რეჩი“ ტიგრან ამბარცუმოვიჩისა

(დაუბეჭდავი ამბიდგან)

IX

. . . . . „ვაშა თქვენ, ქართველებო, ვაშა თქვენს მომავალს! „თუ აწმყო არა გწყალობთ, მომავალი თქვენია“, მინდა თქვენი უდიდებულესი პოეტის სიტყვებით დავადასტურო ჩემი რწმენა.

აღიარება დიადი პრინციპისა—მეზობელ ხალხთა შორის სოლიდარობისა—და ამ პრინციპის განსახორციელებლად შეფერებული და უტყუარი საშუალებათა ამორჩევა—რა არის ეს თუ არ წაუშლელი ბეჭედი ერის დიდბუნებოვანობისა? სიამოვნებით აღსავსე გულით და აღგზნებულის სულით ვისმენდი თქვენს კამათსა და მსჯელობას და, უნდა გამოგიტყდეთ, მშურდა, რომ ეს დიდბუნებოვანობა შეადგენს მარტოდ-მარტო თქვენს, ქართველების, კუთვნილებას; იგი თითქმის თქვენს მონოპოლიად გადაქცეულა და აი სწორედ ეს თქვენი ნიჭი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გიმზადებთ თქვენ ბრწყინვალე და მტკიცე მომავალს!.. (აქ შეაწყვეტინეს ლაპარაკი ტაშის კვრით). „ერთი ქართველიც რომ არ გასულიყო ხმოსნად, ჩვენ სრულიად გავიმარჯვებდით მათზედ (სოლოლაკელებზედ) ზნეობრივადაო!“ იქნება ბევრი არც კი დაუკვირდა მას, თუ რა ნაირი სასტიკი ლოღიკა გამოსჭვივის ამ გამოთქმულ აზრში?

ერთსა და იგივე გარემოებაში მყოფ მეზობლად მცხოვრებელ ერთა შორის ყოველთვის ჰხდება შეხლა-შეთვისება რაიმე ნიადაგზე და აქედან შეთანხმების მაგივრად ხშირად უთანხმობა—აბადება მათ შორის, ხოლო უბრალო რომ უთანხმოება კი ზოგიერთა გარემოებათა ანუ პირთა წყალობით გარდიქცევა ხოლმე დაუსრულებელ მტრობადა და შურისძიებად. რა სიკეთეს მოუტანს მათ ერთმანეთში ჩამოვარდნილი შური და მტრობა, გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს დააუძლურებენ და ამით გაუადვილებენ საზოგადო მტერს მათზედ გამარჯვებას?

ყველა ერთ უღელქვეშ მყოფ ხალხთა ინტერესი მოითხოვს ამ ხალხთა მტკიცე კავშირს. ხოლო მტკიცე კავშირის საყოფელად კი საჭიროა, რომ ერთერთი მეზობელ ეროვნებათაგანი უთუოდ დათმობის გზას დაადგეს, როდესაც რაიმე ნიადაგზე უთანხმოება იბადება მათში. უამისოდ კი, თუ ერთმანეთს აუხირდებიან და არას დაუთმობენ ერთი-ერთმანეთს, არა რაიმე კავშირს არ ექნება მათ შორის ადგილი. აი სწორედ აქ იხლართება გორდიოსის კვანძი და მისი გამკვეთელიც იქნება ის ეროვნება, რომელიც შეიკავებს გულის თქმათ, გადასდებს გვერდზე, დროებით, რასაკვირველია, კერძო-ეროვნულ ინტერესებს, რათა არ ევნოს ჩაგრულ ეროვნებათა საზოგადო საქმეს.

რომელი ეროვნება გამოვა ამისთანა სასიქადულო და კეთილშობილურ სარბიელზე? —რასაკვირველია ეროვნება დიადის ბუნებისა, დიადის სულოვნებისა. მაშასადამე, ვაშა კიდევ თქვენ, ქართველებო! რასაკვირველია, იმ „შოვინისტთა“ გამონაკლით!.. (აწყვეტინებენ სიტყვას ხანგრძლივი ტაშით). მხოლოდ დიდად სამწუხაროა ის მოვლენა, რომ ქართველებში აღმოჩნდნენ ისეთი პირნიც, რომელნიც მოლიპულ გზას დასდგომიან და ამით, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფენ მთელი ეროვნების ღირსებას. ასეთი პირები რომ არ უშლიდნენ, უფრო გაჩქარებული ტემპით წავიდოდა ქართველი ერი წარმატებისა და განათლების გზაზე, რომელზედაც არის დღეს დამდგარი თქვენის და თქვენ მგზავსთა ქართველების წყალობით.

ჩვენ, ბატონებო, ვინც პრინციპად დავისახეთ ვემსახურებით მეზობელ ერთა შორის კეთილგანწყობილების დამყარებას—სოლიდარობას; ვისაც გვიღვივის გულში სიყვარული და გვიზიდავს სიმპატია საზოგადოდ ყოველ დაჩაგულ და დაბრიყვებულ ეროვნებათადმი, და ვიღწვით მათი ბრწყინვალე მომავლისათვის—ჩვენ დიპლომატები როდი უნდა ვიყვნეთ, რომ ერთმანეთს თვალები ავუხვიოთ ჩვენის მოქმედებით. მით უფრო შეუწყნარებელი და გასაკიცხია, რომ ეროვნული საქმის სამოსელში ჩვენი პირადი საქმე გამოვხვიოთ და ასე მივაღწევთ ჩვენს კერძო მიზანს, როგორც ეს ჩაიდინეს თქვენმა მოწინააღმდეგეებმა.

ჩვენ მოვალენი ვართ ეროვნული საქმე განვსაზღვროთ, გამოვაცალკევოთ კერძო პირადი საქმეებისაგან; შემოვფარგლოთ იგი და ისეთი მაგარი ზღუდე შემოვავლოთ, რომ ვერა რაიმე პირადმა საქმემ ვერ გადალახოს იგი ზღუდე. სწორედ ამ ჟამადა გვაქვს ამისათვის ხელსაყრელი შემთხვევა და რომ გავუშვათ იგი ხელიდგან ისე, რომ არ ვისარგებლოთ მითი—ეს მიუტევებელი შეცდომა იქნება ჩვენთვის.

ჩვენ თვალწინ გაიარეს ახალი ხმოსნების არჩევნებმა და ყველამ კარგად დავინახეთ, თუ ვინ როგორ მოქმედებდა; ვინ ემსახურებოდა საზოგადოებრივ საქმეს და ვინ—კერძო პირად ინტერესებს. რომ ჩაუკვირდეთ საქმეს საფუძვლიანად, ნათლად დავინახავთ, რომ ატეხილ ჩხუბისა და დავიდარაბის საგანს არჩევნების დროს ის კი არ შეადგენდა, თუ როგორ ემსახურება ან როგორ უნდა ემსახურებოდეს ქალაქის საბჭო ყველა ეროვნებათა ინტერესებს, არამედ სწარმოებდა ბრძოლა იმ ჯგუფთან, რომელსაც გარემოებათა წყალობით ჩაუგდია ხელში ქალაქის მართველობა; ანუ, სინამდვილით რომ გამოვხატოთ, ქართველ „შოვინისტთა“ ჯგუფი ეცილებოდა ხმოსნის ადგილებს იმ პირთ. რომელნიც ახლა განაგებენ ქალაქის საქმეებს და რომელნიც მარტოდ-მარტო ატარებენ სომხის გვარებს. ხოლო, რათა სასურველი შთაბეჭდილება მოეხდინათ ამომრჩევლებზედ, „შოვინისტებმა“ თვისი კერძო—პირადი მისწრაფებანი მთელი ქართველი ეროვნების საქმედ მონათლეს და დაჰკრეს ბუკი და ნაღარა, რომ სომხის ეროვნება ქართველ ეროვნებასა სჩაგრავსო. მაგრამ ერთ ჯგუფს ერთი ეროვნებისას რომ ცილობა ჰქონდეს რაიმე ნიადაგზედ მეორე ეროვნების ამისთანავე ჯგუფთან, რა შუაშია, ერთი მითხარით, აქ ეროვნებანი?.. (ტაშის კვრაა)... შევხედოთ საგანს გონებრივის თვალსაზრისით და უფრო ფართოდ. ვთქვათ, მთელი სომხობის ინტელიგენციას რაიმე უთანხმოება, უსიამოვნება გამოერივა ქართველ ინტელიგენციასთან, რამაც დაჰბადა მათ შორის მტრობა და შურის ძიება—რა შუაში არიან აქ სომეხ-ქართველთა ეროვნებანი?! მარტო ინტელიგენცია ხომ არ წარმოადგენს მთელს ეროვნებას! ან რა შუაშია ეროვნება და რა ბრალი უნდა ედებოდეს მას მეორე ეროვნების დაჩაგვრაში,

ერთი ეროვნების კლასს მეორე ეროვნების ამისთანავე კლასთან აქვს კერძო—პირადი საქმე და ეროვნებათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ამისთანა მოვლენასთან—ეროვნებანი ამისთანა მოვლენათა გარეშე სდგანან და ერთი-ერთმანეთს ხელს უწვდიან სოლიდარობაში... (დიდი ტაშის ცემაა და ვაშას ძახილი...)

შოვინისტთა თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ საქმეს, მაინც ვერსად აღმოვაჩენთ კვალს სომხებისაგან ქართველების დაჩაგვრისას. მარტო თბილისს კი ნუ ჩამოვაცივდებით; მივიხედ მოვიხედოთ სხვა მხარესაც. უკედ რომ ვსთქვათ, იმ შოვინისტებმა უნდა მიიხედ-მოიხედონ და დაინახონ, რა ჰხდება სხვა ქალაქებში. დავასახელებ, მაგალითად, თელავ... უკაცროვად, ერევანი უნდა მეთქვა. ჰო, აგე რა ისტორიაში ოქროს ასოებით აღსანიშნავი ფაქტი მოჰხდა! ხომ გახსოვთ კარგად, რომ იქ, ერევანში, შიგ სომხეთის გულში, ერთი ქართველიც იყო ამორჩეული ხმოსნად! ეს არის დაჩაგვრა?.. (ტაში)... ეს ისეთი მრავალმნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ყოველ ქართველს ფიცარ-ტალახზედ უნდა ჰქონდეს ამოჭრილი, რომ თავის დღეში აღარ შეეძლოს პირიდან ამოუშვას: „სომხები გვჩაგრავენო“.

ეს დაჩაგვრა მარტოდ-მარტო შოვინისტებს ელანდებათ, და, ვიმეორებ, დიდად სანუხარია, რომ ქართველი ეროვნების დიდ ბუნებოვანობასა და დიდ სულოვანობას სწამლავენ ეს მახინჯნი. ამ შემთხვევაში არ შემიძლიან არ ვიამაყო მითი, რომ სომხის ეროვნებაში არ მოიპოვებიან ამისთანა მახინჯნი—მთელველნი მეზობლებთა შორის მტრობისა და შურის ძიებისა. აბა თუ გაუგონია ვისმე ქართველთაგანს, რომ სადმე, როდისმე და რომელსამე სომხის პირიდან ამოსულიყოს: „ქართველები გვჩაგრავენო“. (დიდი ტაში და ვაშას ძახილი).

X

... „მაგრამ იმას კი ვერ მივხვდი—ამბობს ზურაბ მოსხლეტილიძე „შოვინისტათ“ წოდებული—და ვერც მიმხვდარვარ აქამდის, თუ სად არის ის ორი ეროვნება სომეხ-ქართველთა, რომელნიც ერთმანეთს ხელს უწვდიან ძმობა-მეგობრობით და რომელთა შორისაც, როგორც ტიგრან ამბარცუმოვიჩი ამტკიცებდა, სრული სოლიდარობა სუფევს.

მე ასე ვფიქრობ ჩემი „მოკლე ჭკვით“—ასე მონათლეს ჩემი ჭკვა ჩვენმა ახალგაზდებმა, როცა ერთხელ გავბედე ჩავრეულიყავ მათ საუბარში—შენი „მოკლე ჭკვუით“ სჯი მაგრეო. ჰო, მე ასე ვფიქრობ, რომ სომეხ-ქართველთა შესახებაც ამტკიცებენ ჩვენი და სომხობის მოწინავე ახალგაზდობა, რომ მტკიცე სოლიდარული განწყობილება აქვთ ერთმანეთშიო,

მელანია.

ქართული ყურნის გედი

ზოგიერთი ქართველი პუბლიცისტი ათვალწუნებით უცქერის ქართული ყურნის როგორც თარგმნის, ისე გავრცელების საქმეს, ვითომ და

ქართველ მაჰმადიანთ სულიერად ჩვენთან დაახლოვებას ხელს უშლიდეს. ჯერ გრ. დიასამიძემ „სახალხოში“, მერმე „თანამედროვე აზრმა“ და მას უკან ისევ „სახალხომ“ ხელი წამოჰკრეს და დასტურიც დასცეს. ყურანი 1800 ცალად დაიბეჭდა, ათასი წერაკითხვის მაღაზიას ჰქონდა და სულ დაჰრიგდა ცოტაოდენის გარდა, რვაასი ცალი კი ჰქონდა ჩაბარებული ამავე საქმისთვის თავად-აზნაურობას როგორც გამომცემელს და დღეს ორასიოდე თუ იქნება დაურიგებელი. ყურანს ავრცელებდნენ მუქთად სამაჰმადიანო საქართველოში ზაქარია ჭიჭინაძე და იასონ კერესელიძე. ყველაზე უკედ იმათ ეცოდინებათ თუ, როგორ დაჰხვდა მაჰმადიანი ქართველობა ამ საქმეს. მაგ. დაურიგდათ მუხრან ბატონებს სოფ. აწყურში, ავალიშვილს ოშორაში, სოფ. რიყეთში სტუმრად ყოფნის დროს აზროვანიძეებისას იასონ კერესელიძე მოწმე იყო იმისი თუ რა სიხარულით წაიღეს მრავალმა ყურანი საკითხავად იმ სოფლებში, სადაც ქართული კითხვა იციან. სოფ. ხულოში შეიძინეს მოლა ჰაფიზ ეფენდი მახეშიძემ და მოლა რახიუ დეკანოსიძემ, აგრედვე ერის კაცმა კუკულ ალია ჩოგაძემ. ქართული წიგნების მოყვარემ.

კარგი იქნება როგორც ზაქარია ჭიჭინაძე, ისე იასონ კერესელიძე საზოგადოებას გაუზიარებდენ ნახულ გაგონილს ამ საქმის გამო.

პეტრე მირიანაშვილი.

დეპეშები

პეტროგრადი, 30 ივლისი. სახელმწიფო სათათბიროს სამხედრო-საზღვაო და საბიუჯეტოს შეერთებულმა კომისიამ დაამთავრა კანონპროექტი სახელმწიფო თავდაცვის ზომების გაერთიანების შესახებ, ამ საკითხის მომწესრიგებელად არჩეულნი არიან 4 წარმომადგენელი სამხედრო მრეწველთა ცენტრალ კომიტეტისა, რომელთაგანაც მუშების წარმომადგენელია 2 კაცი, 1 კაცი სამეცნიერო-სამხედრო ტეხნიკურ ძალებისა და თვით თავმჯდომარე სამხედრო-მრეწველთა ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარე.

მოსკოვი. შეთანხმებული სახელმწიფონი კონტრაბანდის მოსასპობად აპირობენ სალონიკის დაჭერას.

ლონდონი. თუ საბერძნეთმა უარჰყო შეთანხმაბულ სახელმწიფოთა წინადადება, ინგლის-საფრანგეთ-იტალეთის ფლოტი საბერძნეთის ნავთსადგურების ბლოკადას გამოაცხადებს.

საბერძნეთისაგან კი, პარიზიდან მიღებულ ცნობის მიხედვით, უარს მოელიან.

სტოკჰოლმი. კელნის პოლიციის პრეზიდენტი გლაზენაპი გადაიყვანეს ვარშავაში.

ლონდონი, 29 ივლისი. გალიპოლის ნახევარ კუნძულზედ, ავსტრალიელ და ახალზელანდიელ ჯარებს ცხარე ბრძოლა ჰქონდათ ოსმალებთან და რამდენიმე თხრილები ხელთ იგდეს „კაბა-ტეპე“-სთან. საფრანგეთის ჯავშნოსანმა „სენლუი“-მ აზიის ნაპირებზედ 5 ოსმალეთის ზარბაზანი დააზიანა.

რომი, 29 ივლისი. ავსტრიის 2 კონტრნაღმოსანმა რამდენიმე ყუმბარა ესროლა ქალაქ ბარს, სანტოსპირიტოს და მოლფეტას.

იტალიის წყალქვეშამ ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთს ნაწილში ნაღმით დაჰლუპა ავსტრიელების წყალქვეშა „z.12“.

პარიზი, 29 ივლისი. (ოფიციალი). არტუაში არრასის ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. გუშინდელი საარტილერიო ბრძოლა არგონებში კვლავ გაძლიერდა; გერმანელები შხამიან ბოლს ჰხმარობდნენ. განთიადისას გერმანელებმა ვპოლვით იერიშიც მოიტანეს და ჩვენი თხრილების ერთი ნაწილი ხელში ჩაიგდეს. იერიშები სხვა ადგილებზედაც მოიტანეს, მაგრამ ყველგან უკუგდებულნი იქნენ. თითქმის მთელს ფრონტზედ ზარბაზნების საშინელი გრიალი ისმის.

ათინა, 29 ივლისი. გალიპოლზედ მოკავშირეთა ჯარებმა საერთო იერიში მიიტანეს ოსმალებზედ და ორი თხრილი წაართვეს. აჯიბაბაში საარტილერიო ბრძოლაც მოკავშირეთათვის ხელსაყრელად მიდის. ინგლისელმა ჯარებმა, რომელნიც სუვლეში გადმოსხეს, მადიტოსისაკენ გასწიეს და მაღლობები დაიჭირეს.

ქრისტიანია, 29 ივლისი. გერმანეთის წყალქვეშამ ჩაჰლუპა ინგლისში მიმავალი, ხე-ტყით დატვირთული გემი. მეზღვაურნი გადაარჩინეს.

პეტროგრადი, 30 ივლისი. გაიმართა თათბირი ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებისა ცენზურის საკითხის შესახებ.

მინისტრებს მსჯელობა ჰქონდათ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული შვედეთის, ბულგარეთის და რუმინეთის განწყობილებაზე. გადასწყვიტეს ყოველივე მოლაპარაკების მოსპობა ზავის შესახებ სრულს გამარჯვებამდე.

ცნობებია, რომ მინისტრებმა გადასწყვიტეს მთავარსარდლის ბანაკში გამგზავრება სახ. სათათბიროში წამოყენებულ საკითხებზედ მოსალაპარაკებლად. სამხედრო მინისტრი აპირებს კითხვის პირდაპირ და გადაწყვეტით დაყენებას.

მოსკოვი, კიევიდან გვატყობინებენ, რომ მტრის მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს გამოქცეულთა მატარებელს. დაზიანდა ორი ვაგონი.

პეტროგრადი, დასავლეთ გუბერნიების დეპუტატებს პროექტი შემოაქვთ ამ მხარეებში ომისაგან დაზარალებულთათვის დახმარეხის აღმოსაჩენად.

სოლუნი, 30 ივლისი. კაბინეტის წევრების უმეტესობამ კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის და იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქოების გაუქმება გადასწყვიტა. სახალხო განათლების მინისტრმა აუწყა მსოფლიო პატრიარქს, რომ დღეიდან საპატრიარქო სკოლები განათლების სამინისტროს გამგებლობაში გადავაო.

კონსტანტინეპოლის სომხების პატრიარქი, რომელიც პორტაში გამოცხადდა და სომხების ულტის გამო პროტესტის გამოცხადება უნდოდა, პორტის შენობიდან გამოაგდეს და უთნრეს: სხვის საქმეში ნუ ერევიო.

სოფია, 29 ივლისი. ოპოზიციის პარტიების ხელმძღვანელნი რადოსლავოსთან მივიდნენ იმის შესატყობად, თუ რა მდგომარეობა შეიქმნა ბალკანეთზედ შეთანხმებულთა ნოტის შემდეგ. რადოსლავოვი დაჰპირდა განმარტების მიცემას

ლონდონი, 29 ივლისი. გერმანეთის წყალქვეშამ დაჰლუპა გემები: „უტოპია“, „სკვუნდ“, „მორნა“, „იუნგ“, „ადმირალ“, „კორჯ-კრებლ“, „გერა“, „ილისტრიუს“, „სალმ“, „ტრევირ“ და „ვილკოლი“. გერმანეთის დამხმარე კრეისერმა „მეტეორ“-მა დაჰლუპა ინგლისის მზვერავი გემი „რამზეი“. შემდეგ „მეტეორ“-ი შეჰხვდა ბრიტანიის მძლავრს ესკადრას და, რადგან გაქცევა არ შეიძლებოდა, ჯერ თავისი მეზღვაურები გადასხა ნავებზედ და შემდეგ აფეთქებულ იქნა თავიანთებისვე მიერ.

ჩვენი ცხოვრება

ს. წრომი. სოფ. წრომი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეს, სოფ. გომის მახლობლად, ორი-სამი ვერსის სიშორეზე. ვიდრე მტკვარზე გადახვიდოდეთ და წრომის გზას შეუდგებოდეთ ცოტა წვალება შეგიხვდებათ, ვინაიდგან ჯერ ბორნით უნდა გასცუროთ მტკვრის ცალი ტოტი და მერმე კი სხვა მრავალ ტოტებზე გადებულ, სახელდახელო ბოგირებზე გიხდებათ გადასვლა. ამ მიდამოებში მტკვარს კარგა ფართო მანძილზე ჩაუთხრია და წაულეკავს ნოყიერი სახნავ-სათესი მიწები. დღეს მთელი ეს უშველებელი ადგილები ცალიერ რიყეს-ღა წარმოადგენენ.

თვითონ ს. წრომი ლამაზი სოფელია; მისი დაბლობი ადგილ-მიდამოები და ყანები ოქროს ფრად ბზინავენ ზაფხულის მზის სხივების მწვავე კოცნისაგან გადახრუკულნი, ხოლო ფერდობ-კალთები კი, მაღლით, დაფარულნი არიან მწვანე ბუჩქნარ-ტყეებით. შიგ სოფელში მრავალი ბაღჩა-ბოსტნებია გაშენებული. ჰაერი აქ საღია, წყალი მლაშე გემოსი. წრომის მიდამოებში მუდმივ დანავარდობს თავისუფალი სიო.

შიგ სოფლის შუაგულში აშენებულია დიდებული ტაძარი. ერთის შეხედვით ფრიად დაძველებული მოგეჩვენებათ იგი. ჟამთა ვითარებას ძალზე გაუცვეთია შენობის ქვები და შნო დაუკარგვინებია. ხოლო აღმოსავლეთის მხრით პირვანდელის სიმშვენიერით გამოიყურება ეკლესია; ამ მხრით უფრო მოხდენილი და უფრო დაჩუქურთმებულია. ორნამენტები საერთოდ ძალიან ამშვენებენ ეკლესიას. შიგნით, საკურთხეველის კამარაზე, დახატულია მოზაიკით მაცხოვარი და მის გვერდით, აქეთ-იქიდან წმიდანები. მოზაიკა შესანიშნავია ხელოვნების მხრით; სამწუხაროთ, სურათი მთელი აღარაა, მისი ნაწილებია დარჩენილი. რუსეთის ერთ რომელიღაც სამეცნიერო საზოგადოების წევრს—მოგზაურ სმირნოვს, ეხლახან დაუთვალიერებია წრომის ეკლესია და დიდ აღტაცებაში მოუყვანია იგი მის არქიტექტურას. მეტადრე მოსწონებია მოზაიკა, რომლის შესახებ უთქვამს, რომ ამისთანა მოზაიკას იშვიათად შეხვდებით ძველი დროის ტაძრებში, თუ გინდ საბერძნეთისაშიო.

ეკლესიას გუმბათი აღარ შერჩენია. თითქმის ცალი კედელიღაა ატუზული. თაღები ბევრგან ჩამონგრევია და გადახეთქილა. როგორც ეტყობა, შენობის ქვები გასიპულ-გაკრიალებული ყოფილა უწინ, ამას დღესაც შეამჩნევთ, თუ კარგად დაუკვირდით ზოგიერთ ქვებს. ტაძარს ფართო გალავანი ჰქონია შემოვლებული. როგორც აქაურ ინტელიგენტების სიტყვებიდან სჩანს, წრომის სანანახავად ამ ბოლო ხანს იწყეს სიარული სხვა და სხვა პირებმაო, წინედ ბევრი არავინ ენატრებოდაო.

ძნელად დაგვავიწყდება აქ განცდილი მშვენიერი წუთები თვით ეკლესიის ნახვითა ღა სოფლური ცხოვრების სურათების ხილვით. აქ სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფენი ქალ-ვაჟნი ალექსიძეები, კალოზე გამოსულნი, გლეხებთან ერთად ეწეოდნენ შრომის უღელს.

მხატვარი გოგია ხმალაძე

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . .	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	8 „	58 „	„
ვაზიანიდან . . .	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან . . .	11 „	58 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	56 „	„
ელაანიდან . . .	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან . . .	3 „	37 „	„
კარდენახიდან . . .	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე . . .	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან . . .	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან . . .	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან . . .	9 „	41 „	„
გურჯაანიდან . . .	10 „	24 „	„
მელაანიდან . . .	11 „	39 „	„
ბადიაურიდან . . .	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან . . .	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ. . .	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	5 „	13 „	„
თბილისში, ...	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან . . .	8 ს.	54 წ.	დილ
ვაჩნაძიანიდან . . .	2 „	58 „	„
გურჯაანში . . .	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან . .	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან, . .	5 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფადან . . .	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან .	7 ს.	25 წ.	დილ
„ საადგარ.	10 ს.	28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ . .	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ . .	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ . .	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ .	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.
„ საადგარ.	8 ს.	28 წ.	დილ.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი სასადილო „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ჯავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

ძ. გ ო ლ ო ბ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

გადაწერას საწერ მანქანის

საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

თევზის მრეწველნი

ძმ. ალეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განუოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.** ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.